www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2022 წელი

17.10.2023
www.geostat.ge

17.10.2023

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2022 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2022 წლის ბოლოსათვის 127.1 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 4.0 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2022 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 28.1 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2021-2022 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2021		2022	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**24 680.4**	**100.0**	**28 115.2**	**100.0**
აქედან:				
ნაღდი ფული და დეპოზიტები	5 524.5	22.4	6 783.8	24.1
აქედან:				
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	623.1	2.5	723.3	2.6
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	24.5	0.1	29.6	0.1
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	4 518.6	18.3	6 201.4	22.1

2022 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 6.2 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 43.3.

2022 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 67.9 მილიარდ ლარს გაუტოლდა, საიდანაც მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 17.3 მილიარდ ლარს.

2022 წლის ბოლოსათვის არსებული მთლიანი ვალდებულებებიდან 15.1 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით, ხოლო არარეზიდენტების მიმართ არსებული ვალი (საგარეო ვალი) 10.1 მილიარდ ლარს შეადგენს.

კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2022 წლის ბოლოსათვის 59.2 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2021-2022 წლებში



[1] კონვერტირებული ლარში (2022 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2022 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 2.4 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი შემოსავლები - 19.4 მილიარდ ლარს, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

არაფინანსური კოორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა 2021-2022 წლებში



2022 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 11.6 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან, ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით 1.7 მილიარდი ლარია. ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით 111.3 მილიონი ლარს, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით 472.5 მილიონი ლარს შეადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი ტელ: 2 36 72 10 (217). E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge